

ელიტის ტრანსფორმაციის პროცესი გვიან საბჭოთა პერიოდიდან
თანამედროვე საქართველომდე

თამარ თოლორდავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ თოლორდავა

20.02.2015

აბსტრაქტი

კვლევა, რომელსაც მე ჩავატარებ, ეხება ელიტის ტრანსფორმაციის პროცესს გვიან საბჭოთა კავშირიდან თანამედროვე საქართველომდე. ელიტამ, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მომხდენმა ძირითადმა აქტორმა, მრავალი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო. საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ელიტის არსებობა საბჭოთა კავშირში, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი, განსაკუთრებით კი მისი ტრანსფორმაცია საბჭოთა სივრციდან პოსტსაბჭოთა სივრცემდე. საბჭოთა ელიტაში შემავალმა მმართველმა კლასმა მოახერხა სხვა ჯგუფების მართვის ინსტრუმენტად ქცევა და თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოყენება. გვიან საბჭოთა პერიოდში ლიბერალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ელიტის ტრანსფორმაციის პროცესს, რამაც საბჭოთა კავშირის დანგრევამდე მიგვიყვანა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო და ქართული ელიტა ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა.

კვლევის მიზანია დაამტკიცოს, რომ გვიან საბჭოთა პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულ ელიტაში დაწყებული ტრანსფორმაციის პროცესში. დამოუკიდებლობის დღიდან დღევანდელ დღემდე ელიტაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ქვეყანაში განვითარებულ დემოკრატიზაციის პროცესზე. ხშირ შემთხვევაში ყოველივე ამას ელიტაში შემავალი ჯგუფებისა და ინდივიდების პირადი ინტერესები და ძალაუფლებისადმი ლტოლტვა განსაზღვრავს.

ჩემს ჰიპოთეზას კლასიკური ელიტის თეორიებს მიხედვით დავამტკიცებ. ეს თეორიები შეისწავლიან ელიტის წარმოშობას, მის განვითარებას, მასში მიმდინარე ტრანსფორმაციისა და ცირკულაციის პროცესს, მის როლს ქვეყანასა და საზოგადოებაში

განვითარებულ მოვლენებში. კვლევის დროს გამოვიყენებ პროცესის მიყოლის მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს რა ფაქტორები და მოვლენები უძღოდა წინ გარკვეული პოლიტიკური პროცესის განვითარებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელიტა, ელიტის ტრანსფორმაცია, საბჭოთა კავშირი,
პოსტსაბჭოთა საქართველო

Abstract

The research, I will conduct, is related to the elite transformation process for the period from the late Soviet Union till modern Georgia. The elite, as the main influencing actor on country's societal and political life, draw attention of many researchers. The existence of elite in Soviet Union, its establishment and development process, and especially transformation from Soviet to Post-Soviet period are interesting phenomena. The ruling class of the Soviet elite was able to transform other groups into management tool and utilize them for the accomplishment of its interests. In late Soviet period the liberalization process assisted in the elite transformation process that led to the collapse of the Soviet Union. After the restoration of the independence, Georgia and the Georgian elite encountered new reality. The aim of the research is to prove that developments in the late Soviet period played important role in the beginning of the transformation process for Georgian elite. Since the independence the developments in the elite group profoundly influenced Georgian political and social situation and the country's democratization process. All above-mentioned is often defined by the interests and the lust for power of the individuals and groups of the elite. I will prove my hypothesis using classical elite theories. These theories investigate the origin of elite, its development, the transformation and circulation processes, and its role in the developments of the country and society. During the research the process tracing method will be utilized that aims at examining the factors and events preceded the certain developments of the political process.

Keywords: elite, elite transformation, Soviet Union, Post-Soviet Georgia